



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ34.342103412

თარიღი:03/02/2021

მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ფარგლებში, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილების საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ფარგლებში, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა)ჯგუფის ხელმძღვანელი: **მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ოთარ ჩხეიძე.** ჯგუფის ხელმძღვანელი ახორციელებს სამუშაო პროცესის საერთო ხელმძღვანელობას, მასვე ეკისრება მერთან ანგარიშგების ვალდებულება;

ბ)სამუშაო ჯგუფის წევრები:

ბ.ა)**მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გელა ბაქრაძე** - უზრუნველყოფს საკრებულოს წევრების ინფორმირებას ჯგუფის საქმიანობის შესახებ და საკრებულოს წევრების ჩართვას პროგრამის განხორციელების პროცესში;

ბ.ბ)**მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - თამაზ ფოლოდაშვილი;**

ბ.გ)**მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ზაქარია ლოხიშვილი;**

ბ.დ)**მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ნუგზარ ხუხუნაიშვილი** - კოორდინაციას უწევს მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავებას, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირებას დასახლებების მიხედვით, საპროექტო წინადადებების განხილვას, წინადადებების/რეკომენდაციების და საკრებულოში წარსადგენი საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადებას;

ბ.ე)**მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, შოთა აბაშვილი** - უზრუნველყოფს მოქალაქეთა ინფორმირებას პროგრამის განხორციელების შესახებ, აგრეთვე მათ კონსულტაციას და შეხვედრების ორგანიზებას; პროგრამის ფარგლებში შეიმუშავებს წინადადებებს/რეკომენდაციებს;

ბ.ვ)**მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ანა მამაგვიშვილი** - უზრუნველყოფს მერის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევას, სამუშაო ჯგუფის ოქმის წარმოებას;

ბ.ზ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ილია ციციშვილი - უზრუნველყოფს საჭირო თანხების მობილიზების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების თაობაზე წინადადების მომზადებას;

ბ.თ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ქეთინო ლიპარტელიანი - უზრუნველყოფს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე ინფორმაციის პროაქტულად გამოქვეყნებას, მოსახლეობის ინფორმირებას მუნიციპალიტეტის facebook გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერიის წარმომადგენლების მხარდაჭერას საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისთვის.

ბ.ი) მერიის წარმომადგენელი ქალაქ მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ილია ჯიშკარიანი;

ბ.კ) ქალაქ მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - ვაჟა მარტოლევი;

ბ.ლ) საკრებულოს წევრი - გივი ჩანადირი.

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3..ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გივი გიუტაშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

